საქართველოს მთავრობის

დადგენილება №392

2023 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2022, 470000000.10.003.023820) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №14 დანართის („დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **46,845.3 ათასი** ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	17,140.0
2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	150.0
3	ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება	26,811.3
4	თირკმლის ტრანსპლანტაცია	700.0
5	ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	50.0
6	ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,929.0
7	სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	65.0
	სულ:	**46,845.3.“.**

2. №15 დანართის („ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა“) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **6,974.7 ათასი** ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

		ბიუჯეტი

№	კომპონენტის დასახელება	(ათასი ლარი)
1	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა	261.0
2	ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა	4,855.0
3	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	1,858.7
3.1	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,344.7
3.2	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	514.0
	სულ:	6,974.7.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**